

მარინა ჭიჭინაძე

სილოვან ხუნდაძის სახელმძღვანელოები

მე-20 საუკუნის დასაწყისში ქუთაისში ეროვნულ-დემოკრატიული იდეების უაღრესად მნიშვნელოვან კერად იქცა ქართული სათავადაზნაურო გიმნაზია, რომლის სულისჩამდგმელები იყვნენ გიმნაზიის დირექტორი იოსებ ოცხელი და მისი მოადგილე სილოვან ხუნდაძე. ეს ორი დიდი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე მოსწავლეებს პატრიოტიზმსა და მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობას უნერგავდა მაშინ, როცა იდეებობდა ყველაფერი ქართული. სწავლების გაეროვნულების მიზნით ოცხელმა და ხუნდაძემ დიდი შრომა გასწიეს ქართულ ენაზე სახელმძღვანელოების შექმნისა და გამოცემისათვის. სასწავლებელში, სადაც ქართული ენა დაარსებიდან, 1880 წლიდან, ისწავლებოდა, განსაკუთრებული მნიშვნელობა, რასაკვირველია, ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოების შექმნას ენიჭებოდა.

ს. ხუნდაძე მასწავლებლად სათავადაზნაურო გიმნაზიაში 1884 წელს დაინიშნა. სახელმძღვანელოების უქონლობის გამო ს. ხუნდაძე ქართულ ენასა და ლიტერატურას თავის მიერ შედგენილი კონსპექტებით ასწავლიდა. მე-20 საუკუნის დასაწყისში კი მან გამოსცა ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოები. მათ შორის ყველაზე პოპულარულია „ქართული ენის გრამატიკა“, რომელიც პირველად გამოიცა 1904 წელს ქუთაისში. ეს იყო ქართული ენის სახელმძღვანელოს შედგენის პირველი ცდა. 1907 წელს ქუთაისშივე გამოქვეყნდა წიგნის მეორე, შევსებული გამოცემა. 1917 წელს კი – „სრული კურსი“. ამათგან გამოვეყოფთ 1907 წლის გამოცემას. ჩვენს ხელთ აღმოჩნდა ერთი ეგზემპლარი, რომელსაც აქვს წარწერა: „ბ-ნს ნიკ. ფერაძეს ავტორისაგან. 10.08.1907“ (ნიკოლოზ ფერაძე გამომცემელია). იგივე წარწერა წიგნში, სხვა გვერდზე, ავტორის მიერ გერმანულ ენაზეცაა შესრულებული. წიგნში ორი გამოცემა, 1904 და 1907 წლებისა, არის წარმოდგენილი. ფაქტობრივად, ესაა ორი წიგნი, ერთ გამოცემაში თავმოყრილი. დღეს ბევრს საუბრობენ იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ისწავლებოდეს სკოლაში გრამატიკული მასალა. ყველა თანხმდება, რომ მხოლოდ თეორიული მასალის ცოდნა არაფრის მომცემია და აუცილებელია მოსწავლეს მისი პრაქტიკულად გამოყენება შეეძლოს. თანამედროვე სახელმძღვანელოებიც ძირითადად ასეთი პრინციპითაა აგებული. ამ ფონზე ძალიან საინტერესოა ს. ხუნდაძის სიტყვები წიგნის შესავლიდან: „გრამატიკის სწავლებას მხოლოდ პრაქტიკული მიზანი უნდა ჰქონდეს: ყმაწვილმა სწორი ლაპარაკი და კანონიერი წერა-კითხვა შეისწავლოს. ამისათვის მასწავლებელმა ყმაწვილებს თავი არ უნდა ატეხოს თავდაპირველათვე თეორიული ნაწილის შესწავლაზე“ (ს. ხუნდაძე, 1907: 14). მოსწავლეები ოთხი წლის მანძილზე, V-VIII კლასებში, ეუფლებოდნენ ქართულ ენას ამ სახელმძღვანელოს საშუალებით. წიგნს ისევე, როგორც ს. ხუნდაძის მიერ შექმნილ ქართული ენის სხვა სახელმძღვანელოებს, დაერთვის მართლწერის ლექსიკონი, რომელიც უდავოდ, დიდად დაეხმარებოდა მოსწავლეებს (და არა

მარტო მათ) გამართული ქართულით მეტყველებაში. ცნობილია, რომ ს. ხუნდაძე, როგორც მკაცრი პედაგოგი და სალიტერატურო ენის ნორმების ერთ-ერთი დამდგენი, მკაცრად მოითხოვდა მართლწერის წესების დაცვას გიმნაზიის მოსწავლეებისგან.

აღსანიშნავია ს. ხუნდაძის მიერ ქუთაისში 1927 წელს გამოცემული ნაშრომი „ქართული მართლწერისა და სწორენის ძირითადი საფუძვლები“, რომელიც 1901 წელს გამოცემული მისი „სალიტერატურო ქართულის“ შევსებულ გამოცემას წარმოადგენს. ეს არის ავტორის სიცოცხლეში გამოქვეყნებული ბოლო ნაშრომი. სწორედ მის შესახებ წერდა გრიგოლ რობაქიძე: „წიგნი კარგია და მარჯვე... კითხულობ და გიკვირს: რამდენი უმუშავია! რამდენი უკვლევია! არის მერე ყველგან მართალი? რასაკვირველია. არა. მაგრამ გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ათ შემთხვევაში სიმართლე შეიძინს მხარეზეა“ (ლ. ურუშაძე, 2014: 102). აღნიშნული წიგნის იმ ეგზემპლარს, რომელიც ამჟამად ი. ოცხელის სახ. ქუთაისის №2 საჯარო სკოლის ბიბლიოთეკაშია დაცული, აქვს წარწერა, საიდანაც ვიგებთ, რომ იგი 2002 წელს გადაუცია ქ-ნ მერი ქანდარიას სკოლის ბიბლიოთეკისათვის. წიგნის წინასიტყვაობაში ს. ხუნდაძე აღნიშნავს, რომ ენის „უმთავრესი ნაკლებობებია“ არის ფორმათა მრავალგვარობა და გამოსაკვლევიანია, რომელ ფორმას უნდა მიანიჭოს ლიტერატურამ უპირატესობა. „საქმე... ის არის, ...სხვადასხვა წალკოტში გაფანტულ ია-ვარდებს თავი მოვუყაროთ-და ამ სახით შევადგინოთ და შევკონოთ ის მშვენიერი სურნელოვანი თაიგული, რომელსაც სალიტერატურო, სამწერლო ენა ეწოდება“, – წერს ხუნდაძე (ს. ხუნდაძე, 1927: 5). ავტორს „ფრიად საჭიროდ“ მიაჩნია მთავრული ასოების გამოყენება. როგორც ჩანს, სწორედ ამიტომ, რომ, როგორც ამ წიგნში, ისევე სხვა სახელმძღვანელოებში, იგი გამოიყენებს მთავრულს. ს. ხუნდაძე განიხილავს, ენაში გავრცელებულ პარალელურ ფორმათაგან რომელია გავრცელებული „ამერში“, რომელი – „იმერში“ და მათგან რომელს უნდა მიენიჭოს უპირატესობა. საკუთარი შეხედულებების დასასაბუთებლად იგი ყოველთვის ეყრდნობა ძველი და ახალი ქართული მწერლობის ნიმუშებს, მოჰყავს სათანადო მაგალითები. ეს სახელმძღვანელო ძალიან ჰგავს თანამედროვე წიგნებს, რომლებშიც განხილულია გავრცელებულ ფორმათაგან რომელია სწორი და რატომ.

ავტორი დიდ ადგილს უთმობს უცხო სიტყვებს, „რუსიციზმებს“, ანალიზებს 27 საკითხს და დასძენს: „დიდი სიფრთხილე გვმართებს, რომ უცხო სიტყვების შემოტანით ენა არ დავამახინჯოთ“. ამ სიტყვების წაკითხვისას გახსენდება ერთი ამბავი ს. ხუნდაძის ცხოვრებიდან, რომელსაც გადმოსცემს ლ.ურუშაძე წიგნში „სილოვან ხუნდაძე – უდიდესი პედაგოგი და მამულიშვილი“: ერთხელ თურმე გიმნაზიაში სილოვანზე განაწყენებული მშობელი მოსულა, რომლის შვილსაც ქართულში ცუდი ნიშანი ჰქონია. „რა გააჭირა საქმე სილოვანმა! ჩემს შვილს სულ „პიატები“ და „ჩეტვიორკები“ აქვს პოვედენიაში“, მას კი „გრუზინსკიში“ „დვოიკა“ დაუწერია“, – იძახდა თურმე მშობელი. მოუსმენია მისთვის მასწავლებელ ს. ერისთავს და უთქვამს: „არ გაეკარო სილოვანს შენი ჩიქორთულით. მე ცოტა რუსთაველის ენით ველაპარაკები და მაინც არაფერი გამომივიდა, გარეთ გამომაგდო. შენ უარესი მოგივაო“ (ლ. ურუშაძე, 2014: 89).

მკვლევარი ცალკე განიხილავს „შეცთომების მაგალითებს“ ქართველ მწერალთა ნაწარმოებებში, ამავე დროს მოჰყავს „კარგი სტილის ნიმუშები“ იმავე და სხვა ავტორთა თხზულებებიდან.

განსაკუთრებით საინტერესოა წიგნის „დამატება I“ სათაურით „აკაკი შანიძის ზნეობრივი და მეცნიერული ავლადიდება“. მასში ავტორი აქვეყნებს მიმოწერას ა. შანიძესთან, რომელიც მის „გრამატიკას“ იწუნებდა. ამ წიგნის გამო ს. ხუნდაძესა და ა. შანიძეს შორის დავა მე-20 საუკუნის 20-იანი წლების ბოლოს და 30-იანი წლების დასაწყისში შედგა. „პატივისცემა ჩემი თქვენდამი დიდია, მაგრამ კიდევ მეტია პატივისცემა ქართული სამწერლო ენისადმი“ (ს. ხუნდაძე, 1927: 90) — ეს იყო განმსაზღვრელი ა. შანიძის კრიტიკისა. „ჩვენ მხოლოდ სხვადასხვა აზრისა ვართ სალიტერატურო ენის შესახებ — არც მეტი და არც ნაკლები, და ვინ უფრო მართალია, ამას მიუდგომელი მომავალი გამოაჩენს“, — ვკითხულობთ ს. ხუნდაძის პასუხში (იქვე). სილოვანი ასაბუთებს ა. შანიძის ნაშრომის მთავარ დებულებათა უსაფუძვლობას. ა. შანიძის წერილიდან ირკვევა, რომ მან, როგორც რეცენზენტმა, შესაძლებლად სცნო ხუნდაძის წიგნის გამოცემა მხოლოდ „იმ უმწეო მდგომარეობის“ გამო, რომელშიც იმყოფებოდა ჩვენი მაშინდელი სკოლა სახელმძღვანელოთა უქონლობის გამო. ასეთმა დამოკიდებულებამ ს. ხუნდაძის აღშფოთება გამოიწვია. სალიტერატურო ენის ნორმების დაუყოვნებლივ შემუშავებას ს. ხუნდაძე აუცილებლად მიიჩნევს, რათა ყველამ იცოდეს, თუ „რა ფორმები ასწავლონ სკოლაში“ (იქვე). ალბათ ძნელი არაა, მკითხველმა ირონია შენიშნოს სიტყვებში, რომლებითაც ის ა. შანიძეს მიმართავს: „ვინც მთავრობასთან ახლოსა ხართ, შეეცადეთ — რაც შეიძლება მალე დააკანონოთ განსაზღვრული ფორმები“ (იქვე: 91). როგორც ჩანს, სილოვანი დაუზოგავი კრიტიკოსი იყო. დრომ დაადასტურა მისი ბევრი მოსაზრების კეშმარტება. ამის თქმის უფლებას ის გვაძლევს, რომ თანამედროვე სალიტერატურო ენაში ბევრი ფორმა სწორედ ისეა დამკვიდრებული, როგორც ს. ხუნდაძეს მიაჩნდა სწორად, თუმცა ასე ყოველთვის არ მოხდა და ეს ბუნებრივიცაა.

„ქართული მართლწერა“ 1913 წელს გამოიცა ქუთაისში სტამბა „ძმობის“ მიერ. ეს თხელტანიანი წიგნია, რომელშიც სიტყვათა მართლწერაა მოცემული. მათგან ზოგიერთი ფორმა, რომლებიც ს. ხუნდაძეს სწორად მიაჩნია, დღევანდელი მართლწერის ნორმებს შეესაბამება. ზოგი კი უარყოფილია. წიგნში გვხვდება ფრაზები: „არ ვარგა გამოთქმა“: „ქართულად არ შეიძლება ითქვას“; „იხმარეთ“, „ხალხში მახინჯათ იხმარება და ასე უნდა იხმარებოდეს“... თუმცა, ს. ხუნდაძის სხვა სახელმძღვანელოებისაგან განსხვავებით. აქ ყოველთვის არაა განმარტებული, რატომღაც დასაშვებია ესა თუ ის ფორმა. წიგნში გარკვეული ადგილი უჭირავს სიტყვების გადატანის წესებსაც.

სილოვან ხუნდაძის ზრუნვის საგანი იყო, ჩაენერგა მოსწავლეებში ქართული ლიტერატურის სიყვარული. ამ მიზნით საგანს თავისი შედგენილი კონსპექტებით ასწავლიდა, რადგან შესაბამისი სახელმძღვანელო არ არსებობდა. სილოვანმა სწორედ ამ ჩანაწერთა გადამუშავების საფუძველზე 1914-21 წლებში ქუთაისში დასტამბა ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოები 7 წიგნად, ანუ, როგორც თვითონ უწოდებს, „წიგნაკად“: „ნიკოლოზ ბარათაშვილი“ (1914), „გრიგოლ

ორბელიანი“ (1917), „რაფიელ ერისთავი“ (1918), „ვახტანგ ორბელიანი“ (1918), „აკაკი წერეთელი“ (1918), „ილია ჭავჭავაძე“ (1919), „შოთა რუსთაველი“ (1922). „ეს იყო პირველი და მეტად მნიშვნელოვანი ნაბიჯი, რომელიც გადადგმულ იქნა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისთვის ქართული ლიტერატურის ქრესტომათიის შესადგენად“, – წერს ლ. ურუშაძე (ლ. ურუშაძე, 2014: 44). მანამდე ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოები გამოცემული ჰქონდათ ივანე გომელაურსა და სერგი გორგაძეს.

ს. ხუნდაძის თითოეული სახელმძღვანელო სტუქტურულად ერთნაირადაა აგებული: წარმოდგენილია მწერლის ბიოგრაფია, მისი შემოქმედების ანალიზი და საზოგადო დასკვნა. როგორც მასწავლებელი, ვფიქრობთ, ეს სრულიად გამართლებულია, რადგან ერთი პრინციპით აგებული სახელმძღვანელოებით სარგებლობა მოსწავლეებისთვის უფრო იოლი და მოსახერხებელია.

ლიტერატურის სახელმძღვანელოთაგან ყველაზე ადრე, 1914 წელს, ს. ხუნდაძემ „ნიკოლოზ ბარათაშვილი“ გამოსცა. 1925 წელს ქუთაისში მისი მეორე გამოცემა დაიბეჭდა. პოეტის ბიოგრაფიის გადმოცემისას ბევრი საინტერესო ამბავია მოთხრობილი და იგი არაა გადატვირთული თარიღებით. ჩანს, გამოცდილი პედაგოგი ითვალისწინებდა მოსწავლეთა ინტერესებს. ს. ხუნდაძე შეუპოვარი ადამიანი იყო. ამას მისი ცხოვრება ადასტურებს. ვფიქრობთ, დიდი გაბედულება იყო საჭირო იმისთვის, რომ 1925 წელს მასწავლებელს შეგირდებისათვის ესწავლებინა: „მართალია, რუსთა მფარველობის დროს, საქართველომ სისხლის მღვრელი ომებისგან მოიხსენა, მაგრამ შინაურ ცხოვრებაში ქართველი ერი იმ დროს ბევრ ნაკლულოვანებას ითქვენდა: მისმა ეროვნულმა კულტურამ საკუთარი ელფერი დაკარგა. ქართული ენა სხვადასხვა სფეროში საგრძნობლათ შეფერხდა და შეირყვნა, ტერიტორია... ამ მშვიდობიანობის დროს ხელიდან გვეცლებოდა“ (ს. ხუნდაძე, 1925: 37).

„ილია ჭავჭავაძე“ 1919 წელსაა დაბეჭდილი გამომცემლობა „მერანში“. სხვათა შორის, ეს გამომცემლობა ს. ხუნდაძემ ი. ოცბელთან ერთად დააარსა 1910 წელს და არაერთი მნიშვნელოვანი სასკოლო წიგნი გამოსცა. აღნიშნულ სახელმძღვანელოში ვრცლად და ძალიან საინტერესოდაა მოთხრობილი ილიას ბიოგრაფია. ცხადია, რომ მწერალთა ცხოვრებას ს. ხუნდაძე შელამაზებულად კი არ ასწავლიდა მოსწავლეებს, არამედ პირუთვნელად წარუდგენდა სინამდვილეს. მწერლების შემოქმედების შეფასებისას პედაგოგი ცდილობდა ყოფილიყო ობიექტური. ეს კი, რა თქმა უნდა, ხელს შეუწყობდა მოსწავლეებში დამოუკიდებელი აზროვნების განვითარებას. წიგნში ავტორი აანალიზებს ილიას „მცირე ლექსებს“ და ვრცელ ნაწარმოებებსაც. საყურადღებოა, რომ მსჯელობისას ავტორი ადარებს განსახილველ ტექსტებს მსოფლიო თუ ქართული მწერლობის ნიმუშებს, არ ერიდება პირუთვნელ შეფასებას. გავრცელებული მოსაზრებების საწინააღმდეგო შეხედულებების მტკიცებას. მაგალითად, „ოთარაანთ ქვრივს“ უწოდებს „საყურადღებო განძს“ ქართული ლიტერატურისა. „განდევილი“ „ილიას პოემებს შორის საუკეთესო პოეტურ ნაწარმოებად“ მიაჩნია. არ მოსწონს „დიმიტრი თავდადებული“: „სარჩობელაზედ“ კი, მისი ზრით, „ყველაზე სუსტია“. პოემა „დედა და შვილის“ ანალიზისას ს. ხუნდაძე განსაკუთრებით გამოყოფს იმ მონაკვეთებს, რომლებშიც ილია სამშობლოსათვის თავდადებისა და

თავისუფლების შესახებ საუბრობს. „თავისუფლება იმდენათ დიდი საგანია, იმდენათ ძლიერად მამოძრავებელი ადამიანის გრძნობა-გონებისა, რომ მისთვის მარადის იბრძოდა და დღესაც იბრძვის საუკეთესო ნაწილი კაცობრიობისა“ (ს. ხუნდაძე, 1919: 29) – აი, რას ასწავლიდა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ი. ოცხელის გიმნაზიაში.

წიგნაკი, რომელიც ს. ხუნდაძემ აკაკი წერეთელს მიუძღვნა, ქუთაისში დასტამბული 1918 წელს. პოეტის ბიოგრაფია „ჩემს თავგადასავალზე“ დაყრდნობითაა შედგენილი. ავტორი მიმოიხილავს თემატურად დალაგებულ ლექსებს, დრამატულ ნაწარმოებებს. „ამისთანა ადამიანი“ არ კვდება და არც აკაკი მომკვდარა,“ – ამბობს ს. ხუნდაძე.

ს. ხუნდაძის სახელმძღვანელოთაგან ყველაზე ვრცელი ის წიგნია, რომელიც შოთა რუსთაველს ეძღვნება. იგი 1922 წელსაა დაბეჭდილი ქუთაისში. ისტორიულ წყაროებსა და ლეგენდებზე დაყრდნობით ავტორი საინტერესოდ მოგვითხრობს პოეტის ბიოგრაფიას. შემდეგ მიმოიხილავს პოემის ხელნაწერებსა და სხვადასხვა მკვლევრის (დ. ჩუბინაშვილი, მ. ბროსე, აკაკი, ილია, ალ. ხაზანაშვილი, ს. კაკაბაძე და სხვა) მოსაზრებებს პოემის შესახებ. წიგნში მოცემულია საგულისხმო ადგილები პოემიდან, მათ ახლავს შენიშვნები და კომენტარები, ასევე პოემის ლექსიკონი. აღსანიშნავია, რომ ნ. ნათაძის რედაქტორობით გამოცემული სასკოლო „ვეფხისტყაოსანი“, რომლითაც ამჟამად ისწავლება პოემა სკოლაში, სწორედ იმავე პრინციპითაა აგებული. სილოვანის მოსწავლეები იგონებენ, რომ გიმნაზიაში „ვეფხისტყაოსანს“ უფროს კლასებში სწავლობდნენ: „ვეცნობოდი რუსთაველოლოგიურ აზრებსა და შეხედულებებს შოთა რუსთაველის ბიოგრაფიისა და შემოქმედების შესახებ; ვკითხულობდი „ვეფხისტყაოსანს“, კომენტარს ვუკეთებდი და ვარჩევდი ტექსტს, ვზეპირობდი „ვეფხისტყაოსანის“ ბრძნულ აფორიზმებს“ (ლ. ურუშაძე, 2014: 98) რამდენი ხანი გავიდა და რუსთაველის პოემა ახლანდელ სკოლებში თითქმის ისევე ისწავლება. საჭიროა თუ არა დღეს ასეთი მიდგომის შეცვლა, ეს სხვა მსჯელობის საგანია, მაგრამ ცხადია, რომ ს. ხუნდაძე ცდილობდა, რუსიფიკაციის პირობებში ქართული მწერლობა საფუძვლიანად ესწავლებინა გიმნაზიის მოსწავლეებისთვის. ს. ხუნდაძე არ ერიდება პოემის „დეფექტების“ გამოყოფას (ასეთებად მიიჩნევს იმას, რომ: 1. დავიწყებულია ცხოვრება ნესტან-დარეჯანის მშობლების შესახებ, 2. ავთანდილი ფრიდონს დაწვრილებით მოუთხრობს ტარიელთან ავთანდილისა და როსტევეანის შეხვედრას, რაც მკითხველმა უკვე იცის) და, ზნეობრივი თვალსაზრისით, შეუწყნარებლად მიიჩნევს პოემაში აღწერილ მკვლევლობებს.

რამდენიმე ათწლეულის მანძილზე ს. ხუნდაძის „ქართული გრამატიკით“ და ლიტერატურის სახელმძღვანელოებით იზრდებოდნენ თაობები. რომ არა ი. ოცხელისა და ს. ხუნდაძის თავდადებული საქმიანობა, ქუთაისში ვერ შეიქმნებოდა განათლების ისეთი კერა, როგორც სათავადაზნაურო გიმნაზია იყო. როცა ეცნობი ამ დიდი პედაგოგის მიერ შექმნილ სასკოლო წიგნებს, გაოცებს მისი პროფესიონალიზმი. თავისუფალი აზროვნება, გამბედაობა, თავდადება. ბედნიერნი იყვნენ მოსწავლეები, რომლებსაც ასეთი მასწავლებელი ჰყავდათ, მაგრამ ის მასწავლებელიც ბედნიერია, რომელსაც მადლიერი მოსწავლეები ძეგლს დაუდგამენ.

გამოყენებული ლიტერატურა

- ლ. ურუშაძე, 2014 – ლ. ურუშაძე, სილოვან ხუნდაძე - უდიდესი პედაგოგი და მამულიშვილი, თბ., 2014.
- ს. ხუნდაძე, 1904 – ს. ხუნდაძე, ქართული გრამატიკა, ქუთაისი, 1904.
- ს. ხუნდაძე, 1907 – ს. ხუნდაძე, ქართული გრამატიკა, ქუთაისი, 1907.
- ს. ხუნდაძე, 1913 – ს. ხუნდაძე, ქართული მართლწერა, ქუთაისი, 1913.
- ს. ხუნდაძე, 1918 – ს. ხუნდაძე, აკაკი წერეთელი, ქუთაისი, 1918.
- ს. ხუნდაძე, 1919 – ს. ხუნდაძე, ილია ჭავჭავაძე, ქუთაისი, 1919.
- ს. ხუნდაძე, 1922 – ს. ხუნდაძე, შოთა რუსთაველი, ქუთაისი, 1922.
- ს. ხუნდაძე, 1925 – ს. ხუნდაძე, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ქუთაისი, 1925.
- ს. ხუნდაძე, 1927 – ს. ხუნდაძე, ქართული მართლწერისა და სწორენის ძირითადი საფუძვლები, ქუთაისი, 1927.

MARINA CHEISHVILI

TEXTBOOKS BY SILOVAN KHUNDADZE

At the beginning of the 20th century, Kutaisi Gymnasium for Nobility became a vital center for national-democratic ideas, inspired by *Ioseb Otskheli* and Silovan Khundadze (the Gymnasium's director and his deputy, respectively). They considered the writing and publishing of textbooks in the Georgian language to be of critical importance. By developing the textbooks of Georgian language and literature at the beginning of the 20th century, Silovan Khundadze took a major step forward towards nationalization of education.

In the textbooks of literature, Silovan Khundadze provided *courageous critique and opposing ideas, as well as* a faithful description of life of the Georgian writers. In his opinion, the main goal of grammar instruction was to enable students to become well-versed in language and speech. This was the major underlying principle of his textbooks of the Georgian language. For decades Silovan Khundadze's textbooks were applied in schools while educating future public figures, writers, scholars, patriots whose love towards their mother language and their country were deeply influenced by a remarkable teacher – Silovan Khundadze.